სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №08/3

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „12“ „ნოემბერი“2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, ი/მ „ნატალია შურღაია” (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ნატალია შურღაიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის N935 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება“ - წინამდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საერთაშორისო სასწავლო კურსზე/ტრენინგზე „მაკრო ეკონომიკური მენეჯმენტი და ფინანსური სექტორის პრობლემები “ მონაწილე პირების ლანჩით მომსახურების (კლასიფიკატორის CPV- 55500000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 55521200) შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად. დანართი N1-ი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 დეკემბრამდე.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2014 წლის 22-ნოემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, გორგასლის N10.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 720 (შვიდას ოცი ლარი) ლარს;

4.2. ერთ პირზე მომსახურების ღირებულება შეადგენს 18 (თვრამეტი ლარი) ლარს;

4.3. ხელშეკრულების საერთო და ერთეულის ფასი მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს მათ შორის დღგ-ეს გათვალისიწნებით, ნებისმიერი ხარჯი ან გადასახადი, რომელიც არ შევა ამ ღირებულებაში არ ანაზღაურდება.

4.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1. 2014 წლის 22-ნოემბერამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 40 პირისთვის ლანჩით მომსახურების შესყიდვა;

5.1.2. შემდეგი სახის ინვენტარის ქონა: გადასაფარებლები, ყავის ჭიქები, ხელსახოცები, თეფშები, წვენის ჭიქები, შამპანურის ჭიქები, ლანგარი, ჩაის კოვზები;

5.1.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის ხსნადი ყავის და ჩაის მოწოდება ერთჯერადი პაკეტით/კონვერტით;

5.1.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებელი კვების პროდუქტების დამზადება ეკოლოგიურად სუფთა, ახალი, მაღალხარისხიანი ჯანსაღი პროდუქტებისგან;

5.1.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდების ადგილზე შესაბამისი რაოდენობის მომსახურე პერსონალის ყოფნა მომსახურების გაწევის პერიოდში;

5.1.6. მომსახურე პერსონალის აღჭურვა უნიფორმით;

5.1.7. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.8. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი

6.1. მისაწოდებელი კვების პროდუქტები თავისი საგემოვნო თვისებებით შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს და იყოს საკვებად ვარგისი და ჯამრთელობისთვის უვნებელი, რაზეც მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროს განახორციელებს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელები პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

9.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

9.1.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10 **ტელ:** 2 26 10 26 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 206348987	**ი/მ „ ნატალია შურღაია"** წარმოდგენილი ნატალია შურღაიას სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი კრწანისის ქ. 16. კ8, ბ12 **ტელ:** 599284285, ს/კ 01015004164 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „პროკრედიტ ბანკი", ანგარიშის ნომერი #GE 19 PC 0293600100005273, ბანკის კოდი MIBGGE22
თამარ ჯაფარიძე	**ნატალია შურღაია**

დანართი 1

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	საერთო ფასი	მომსახურების პერიოდი
	სასმელები				
1	ხილის ასორტი წვენი (მაია სიმია)	პორცია (200მლ)	25		
2	ვაშლის წვენი (მაია სიმია)	პორცია (200მლ)	25		
3	თელიანი ველის შამპანური	ბოთლი (750მლ)	6		
	კერძები				
1	ჰოლანდიური ყველის კანაპე	ცალი	30		
2	ბეკონის კანაპე	ცალი	30		
3	კიევური კატლეტი	ცალი	30		
4	სტაფილოს სალათი ჭადზე	ცალი	30	720	2014 წლის 22 ნოემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
5	ორაგულის კანაპე	ცალი	30		
6	კარტოფილის კროკეტი	ცალი	30		
7	ხაჭაპური	ცალი	30		
	ნამცხვარი				
1	სიგარეტი	ცალი	10		
2	შუ	ცალი	10		
2	ეკლერი	ცალი	10		
	ხილი				
	ხილის ასორტი (პატარა)	ცალი	3		

შემსყიდველი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10
ტელ: 2 26 10 26
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 206348987

თამარ ჯაფარიძე

მიმწოდებელი

ი/მ „ ნატალია შურღაია" წარმოდგენილი ნატალია შურღაიას სახით,
მისამართი: ქ.თბილისი კრწანისის ქ. 16. კ8, ბ12
ტელ: 599284285, ს/კ 01015004164
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი", ანგარიშის ნომერი #GE 19 PC 0293600100005273, ბანკის კოდი MIBGGE22

ნატალია შურღაია